


ანტიკორუფციული ბიურო, რომორც კოლიტიკური განოლის მექანიზმი



მშვიდობის საზოგადოება

PEACE SOCIETY

2025



სარჩევი



შესავალი	3
ძირითადი მიგნებები	4
1. ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის კონტექსტი და მიზანი	5
2. ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქცია-მოვალეობები და მათი მნიშვნელობა.....	7
2.1 ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის მიმოხილვა.....	8
დეკლარაციების მონიტორინგი	9
მამხილებელთა დაცვა	10
3. ანტიკორუფციული ბიურო - სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენებული ინსტრუმენტი	11
3.1 FARA-ს მიმოხილვა	11
3.1.1 FARA-ს აღსრულება.....	13
3.2 საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ეტაპი ..	15
3.3 გრანტების შესახებ კანონი	18
3.4 ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ბერკეტები	20
4. საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ბიუჯეტის ზრდა და გამომწვევი მიზეზები.....	22

შესავალი

ანტიკორუფციული პოლიტიკის გაძლიერება საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად იქცა მას შემდეგ, რაც ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულების ვალდებულება იკისრა. ამ პრიორიტეტებს შორის ცენტრალურ ადგილს იკავებდა კორუფციის, განსაკუთრებით კი მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი მექანიზმების შექმნა. სწორედ ამ კონტექსტში დაიწყო ანტიკორუფციული ბიუროს ჩამოყალიბების პროცესი, რომლის მიზანიც უნდა ყოფილიყო კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება, საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობა და მამხილებელთა დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა.

თუმცა ანტიკორუფციული ბიუროს ჩამოყალიბებისთანავე, მის დამოუკიდებლობაზე, ანგარიშვალდებულებაზე და რეალურ ეფექტიანობაზე არაერთი კითხვა გაჩნდა. მოგვიანებით, ბიუროს საქმიანობის პროცესში, კიდევ უფრო ნათელი გახდა მიკერძოება და მისი მხრიდან პარტიული ინტერესების გატარება. ქვეყანაში კორუფციული რისკების გამოვლენის და ამ მიზნით, დეკლარაციების ეფექტიანად შესწავლა/მონიტორინგის, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის, მამხილებელთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებისა და ილენტიფიცირებულ პრობლემებზე რეაგირების ნაცვლად, ბიუროს უმთავრეს ამოცანად და ფუნქციად სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ ბრძოლა განისაზღვრა.

ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქციების გაფართოებამ, მათ შორის ე.წ. FARA-სა და „გრანტების შესახებ“ კანონის აღსრულების მექანიზმების გადაცემამ, უწყებას მიანიჭა ახალი როლი, რომლის ერთადერთი რეალური მიზანი სამოქალაქო სექტორისა და კრიტიკული მედიის წინააღმდეგ ბრძოლაა. შედეგად კი, კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი უწყება სულ უფრო მეტად აღიქმება პოლიტიკური კონტროლის ბერკეტად, რაც ეწინააღმდეგება როგორც ევროკავშირის რეკომენდაციებით განსაზღვრულ სტანდარტებს, ისე დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს. „ქართული ოცნების“ ხელში, დღეს უწყება პარტიული ინტერესების გამტარებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს.

ძირითადი მიზნები

- ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კორუფციის პრევენციის მიმართულებით, თუმცა მისი ინსტიტუციური მოდელი ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან.
- ბიუროს ფუნქციები ფართოა. უწყება ახორციელებს როგორც ანალიტიკურ და პრევენციულ, ასევე ზედამხედველობით და სანქციონების მექანიზმებს, თუმცა ფორმალურად მინიჭებულ მანდატს ის პრაქტიკაში ეფექტიანად არ აღასრულებს.
- ბიურო არ ატარებს ქონებრივი დეკლარაციების ეფექტიან მონიტორინგს, ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი ზედაპირულია, არ ხდება დეკლარაციის შინაარსობრივი ანალიზი, სავარაუდო კორუფციული საკითხების იდენტიფიცირება და შემდგომი რეაგირება. ამასთან, გარკვეულ პირთა ქონებრივი დეკლარაციები ამ მომენტამდე არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.
- მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს მამხილებლების დამოუკიდებელ, დაცულ და ეფექტიან ჩარჩოში მოქცევას. ამასთან, ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდისა და ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციიდან გამომდინარე, უცნობია, რა ღონისძიებებს ატარებს უწყება ამ მიმართულებით.
- ანტიკორუფციული ბიუროსთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭება (ე.წ. FARA და „გრანტების შესახებ“ კანონი), სცილდება ბიუროს შექმნის მიზანს და უწყებას აქცევს „ქართული ოცნების“ ინტერესების გამტარებელ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.
- ანტიკორუფციული ბიურო რეპრესიული კანონმდებლობით მინიჭებულ მანდატს დარღვევით იყენებს და ორგანიზაციებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სთხოვს იმ ტიპის ინფორმაციას, რომელიც მისი საქმიანობის მიმართულებას არ განეკუთვნება.
- ანტიკორუფციული ბიურო სხვა სახელმწიფო უწყებების მსგავსად ჩამოყალიბდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ პოლიტიკურ იარაღად, რომელიც გამოიყენება არა კორუფციული რისკების პრევენცია/აღმოფხვრისთვის, არამედ სამოქალაქო სექტორის, მედიისა და მოქალაქეების წინააღმდეგ.
- ანტიკორუფციული ბიუროს ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია, თუმცა ამ თვალსაზრისით უწყების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი არ არის.

- მაშინ, როცა ბიურო სხვა ორგანიზაციების გამჭვირვალობაზე ამახვილებს ყურადღებას, თავად არ ასაჯაროებს საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. „მშვიდობის საზოგადოების“ მიერ ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, უწყებამ მხოლოდ ვებგვერდის ლინკი გამოგზავნა.
- ერთი შეხედვით ინფორმაციული ვებგვერდის მიუხედავად, უწყების საქმიანობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია.
- ანტიკორუფციული ბიურო რეპრესიული კანონმდებლობის უხეში დარღვევით აღასრულებს მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონიტორინგს. ის ორგანიზაციებისგან ითხოვს ისეთი ტიპის ინფორმაციასაც, რომელიც სცდება მის მანდატს. ამასთან, მისი მოთხოვნა სრულიად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად აბსურდულია.
- სამართლებრივი დასაბუთებისა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, სასამართლოები ავტომატურად აკმაყოფილებენ ანტიკორუფციული ბიუროს მოთხოვნას და კვლავ სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, აბსურდულ გარემოებებზე მითითებით სთხოვენ ორგანიზაციებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ ინფორმაციასაც.
- ანტიკორუფციულმა ბიურომ არაერთი ორგანიზაციის მონიტორინგი დაიწყო, თუმცა ბუნდოვანია კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ის ინფორმაციას სთხოვს ორგანიზაციებს.

1. ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის კონტექსტი და მიზანი

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა ევროკომისიის 17 ივნისის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად 12 პრიორიტეტის შესრულება დაევალა. ევროკომისიის მე-4 პრიორიტეტი იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება (განსაკუთრებით, მაღალი დონის კორუფცია). კერძოდ, *გაძლიერდეს კორუფციასთან ბრძოლის სააგენტოს დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მაღალი რანგის კორუფციის საქმეების გამოსავლენად.*¹ ამავე წლის ივლისში, „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატის სტატუსის მისაღებად გაწერილი 12 პრიორიტეტის შესრულების გეგმა წარადგინა. გეგმის შემუშავებაში ოპოზიცია არ ჩაურთავთ. ამასთან, ამ მიმართულებით „ქართულმა ოცნებამ“ არ გაიზიარა არც საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციები.

¹ [eeas.europa.eu, nb. https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/12%20Priorities.pdf](https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/12%20Priorities.pdf)

„ქართული ოცნების“ გეგმის შესაბამისად, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ თავდაპირველად ინიცირებული კანონის პროექტი **ფორმალურადაც არ ეხებოდა თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის საკითხს, მამხილებელთა დაცვას, პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიის ფინანსების მონიტორინგის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას.** ინიციატივა ასევე არ ითვალისწინებდა ანტიკორუფციული ბიუროსთვის საგამოძიებო მანდატის მინიჭებას, რაც ევროკომისიის რეკომენდაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. თუმცა მოგვიანებით ანტიკორუფციული ბიურო ყველა ზემოაღნიშნული ფუნქციით აღიჭურვა, გარდა საგამოძიებო უფლებამოსილებისა. შესაბამისად, პარლამენტის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებები, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრის გარდა, ითვალისწინებს ბიუროსთვის შემდეგი ფუნქციების გადაცემას: **თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგი, მამხილებლის დაცვის დონისძიებები, კანონის შესაბამისად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.**

ამ ცვლილებების მიუხედავად, 2023 წლის 15-16 დეკემბერს გამოქვეყნებულ მოსაზრებაში ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ რადგან ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნისა და გადაყენების უფლებამოსილება ძირითადად პრემიერ-მინისტრის ხელშია², შეცვლილი კანონმდებლობით არ არის უზრუნველყოფილი უწყების დამოუკიდებლობა. 2023 წლის 10 თებერვლიდან ანტიკორუფციულ ბიუროს ხელმძღვანელობს რაჟდენ კუპრაშვილი, რომელიც მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დანიშნა.³ საკონკურსო კომისია 7 წევრისგან შედგებოდა, მათგან ყველა წარმოადგენდა სახელმწიფო უწყებას, გარდა სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებლისა და სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლისა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ანტიკორუფციული ბიურო უკვე შექმნილი იყო და წესით, კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო, 2024 წელს საქართველო გამოეთიშა OECD-ის ანტიკორუფციული მონიტორინგის პროცესს — კერძოდ, ორგანიზაციის Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia (ACN) პროგრამას. ეს საკითხი შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი უკუსვლა ქვეყნის ანტიკორუფციულ დღის წესრიგში და გამოიწვია როგორც საერთაშორისო პარტნიორების, ისე სამოქალაქო საზოგადოების შემფოთება. OECD-თან მჭიდრო თანამშრომლობა და მონიტორინგში მონაწილეობა საქართველოსთვის იყო შესაძლებლობა, დაემტკიცებინა რეფორმების სერიოზულობა და გაეზარდა ნდობა საერთაშორისო დონეზე. მისგან გამოთიშვა კი აჩენს კითხვებს რეფორმების მდგრადობასა და პოლიტიკურ ნებულობაზე, რაც აშკარა გახდა განსაკუთრებით ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებით.

² venice.coe.int, იხ. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2023\)046-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)046-e)

³ factcheck.ge, იხ. <https://shorturl.at/7Ql8m>

2. ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქცია- მოვალეობები და მათი მნიშვნელობა

ანტიკორუფციული ბიურო აღჭურვილია რამდენიმე ფუნქციით:

1. საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების კონტროლი

- ბიურო ამოწმებს თანამდებობის პირების ქონებრივ და ფინანსურ დეკლარაციებს, აკვირდება მათ სისწორესა და დროულ შევსებას.
- დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, შეუძლია შესაბამისი რეაგირების დაწყება და ინფორმაციის გადაცემა საგამოძიებო ორგანოებისთვის.

2. პოლიტიკური პარტიების ფინანსების ზედამხედველობა

- აკონტროლებს, როგორ ფინანსდება პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო კამპანიები.
- ზედამხედველობის მიზანია პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა და უკანონო ან დაუშვებელი შემოწირულებების პრევენცია.

3. კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და მონიტორინგი

- ბიურო არის მთავარი კოორდინატორი, რომელიც ამზადებს სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით.
- იგი მართავს სამოქმედო გეგმას, აკონტროლებს შესრულებას და ავრცელებს ანგარიშებს.

4. ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მონიტორინგი

- აკვირდება, რომ საჯარო მოხელეები არ იყვნენ ინტერესთა კონფლიქტში, შეესაბამებოდნენ ეთიკის სტანდარტებს და არ გამოიყენებდნენ თანამდებობას პირადი სარგებლისთვის.

5. საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- ახორციელებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან.
- ასევე უზრუნველყოფს კოორდინაციას საერთაშორისო სტრუქტურებთან რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით.

6. სამოქალაქო ორგანიზაციების დაფინანსების კონტროლი და მონიტორინგი ე.წ. FARA-ს და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

- ატარებს სამოქალაქო ორგანიზაციების დაფინანსების მონიტორინგს როგორც სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვის, ასევე უშუალოდ ორგანიზაციებისგან ინფორმაციის მოთხოვნის გზით.
- ზედამხედველობას უწევს მთავრობის მიერ გაცემული ნებართვით ამოქმედებული უცხოური საგრანტო დაფინანსების მიზნობრივად შესრულებას.

ფორმალურად, ბიუროს მოვალეობები მიმართულია **პრევენციაზე, მონიტორინგსა და კოორდინაციაზე**. კანონმდებლობიდან გამომდინარე, იგი ქმნის სისტემურ ჩარჩოს — ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებას და პოლიტიკის დაგეგმვას, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა რეალური, მრავალკომპონენტური და შედეგიანი იყოს. ბიუროს შექმნისას, კანონპროექტზე მუშაობისას, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ბიუროს ექნებოდა საგამოძიებო უფლებამოსილებებიც და მისი უფროსის კანდიდატურა აირჩეოდა პარლამენტის მიერ, კვალიფიციური უმრავლესობით და სხვადასხვა პარტიას შორის კონსენსუსით, ბიუროს ხელში მოექცეოდა ძლიერი ბერკეტები ყველა ღონის კორუფციის, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების კორუფციის გამოსაძიებლად.

დეკლარაციების და პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგისთვის, ასევე უცხოური ძალის „აგენტების“ რეესტრისთვის, უცხოური გრანტების რეესტრისთვის, მხილებისთვის ბიუროს შექმნილი აქვს ონლაინ პლატფორმები,⁴ სადაც, ერთი შეხედვით, შესაძლებელია ბიუროს ცალკეული ფუნქციის შესაბამის საქმიანობაზე თვალყურის მიღვენება. თუმცა ორგანიზაციის მხრიდან ჩატარებული მონიტორინგით ნათელია, რომ ბიუროს ვებგვერდზე მთელი რიგი ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი. მათ შორის, რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს ანტიკორუფციული ბიურო კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, დეკლარაციების მონიტორინგის დროს, რა სავარაუდო კორუფციული საკითხები იდენტიფიცირდა, რა რეაგირება ჰქონდა ამაზე უწყებას, რა ღონისძიებები გატარდა მამხილებელთა ინსტიტუტის გასაძლიერებლად და ასე შემდეგ.

2.1 ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, ანტიკორუფციული ბიურო, რომელიც ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში შეიქმნა, ითვალისწინებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგს, მამხილებლის დაცვის ღონისძიებებს, კანონის შესაბამისად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს. ევროკომისიის მოსაზრების მიხედვით, კორუფციასთან ეფექტიანად საბრძოლველად აუცილებელი იყო:

- თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების წარდგენასთან დაკავშირებული კანონის გავრცელების არეალის გაფართოება.
- ქონებრივი დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების შესრულების მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესება.
- მამხილებელთა დაცვის მექანიზმის გაძლიერება.
- პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ფინანსების მონიტორინგის გაძლიერება.

⁴ portal.acb.gov.ge, ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე არსებული ელექტრონული პორტალი.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ბიურო მანდატით აღიჭურვა, რეალურად მას შესაბამისი ფუნქცია არ შეუსრულებია. ანტიკორუფციული ბიურო, სხვა სახელმწიფო უწყებების მსგავსად, ჩამოყალიბდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ პოლიტიკურ იარაღად, რომელიც გამოიყენება არა კორუფციული რისკების პრევენცია/აღმოფხვრისთვის, არამედ სამოქალაქო სექტორის, მედიისა და მოქალაქეების წინააღმდეგ.

დეკლარაციების მონიტორინგი

საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია კორუფციის პრევენციისა და საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. დეკლარაციების მონიტორინგი ზრდის საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულებას და ყალბი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, რეალურ სამართლებრივ და რეპუტაციულ რისკს ქმნის მათთვის. სწორედ ამ მიზანს უნდა მოხმარებოდა ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომლითაც ანტიკორუფციული ბიურო შეიქმნა.

ნაცვლად დეკლარაციების მონიტორინგის გააქტიურებისა და შესაბამისად, კონკრეტული ღონისძიებების გატარებისა, ამ მიმართულებით პროცესი კიდევ უფრო გართულდა. 2024 წლის დეკემბრიდან თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები საჯაროდ ხელმისაწვდომი აღარ არის და შესაბამისად, გარე კონტროლიც შეუძლებელი გახდა.⁵ ამასთან, მიუხედავად კანონის ჩანაწერისა, რომ დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები ყოველი კალენდარული წლის ბოლოს პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს,⁶ ანგარიში 2024 წლის ბოლოსთვის არ გამოქვეყნებულა. 2024 წლის საქმიანობის ანგარიში პარლამენტს 2025 წლის ივნისში წარედგინა. დეკლარაციები კი საჯარო მას შემდეგ გახდა, რაც ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ დეკლარაციები მალე უნდა გასაჯაროვდეს.⁷ ამან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ბიუროს დამოუკიდებლობის არარსებობა.

დეკლარაციების გამოქვეყნებამდე, ორგანიზაცია დაინტერესდა, რატომ, რა მიზეზებით აღარ იყო დეკლარაციები საჯაროდ ხელმისაწვდომი. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მან ანტიკორუფციულ ბიუროს მიმართა⁸ და შემდეგი ინფორმაცია მოითხოვა:

როდის აღმოიფხვრება საჯარო დეკლარაციების ელექტრონული სისტემის ვებგვერდის ხარვეზი და როდის განახლდება დეკლარაციების ელექტრონული ფორმით საჯაროობა? რამ გამოიწვია ელექტრონული ბაზების ხარვეზი? დეკლარაციების მონიტორინგის პროცესში, რამდენი დარღვევა გამოავლინა ბიურომ 2022 წლის დეკემბრიდან 2025 წლის 1 მაისამდე პერიოდში და რამდენი მათგანი აღმოიფხვრა? დარღვევის აღმოფხვრელობის შემთხვევაში, რა ეტაპზე დარღვევაზე რეაგირება ამ დროისთვის? შესაბამის შესაძლო სამართალდარღვევებზე ბიურომ ხომ არ მიმართა საგამოძიებო ორგანოს და თუ ფლობს ინფორმაციას, რა ეტაპზე ამ შემთხვევების გამოძიება?

⁵ tvpirveli.ge, რატომ არ იძებნება ივანიშვილის ქონებრივი დეკლარაცია - რას ამბობენ "ოცნებაში", 20.06.25, იხ. <https://bit.ly/47qWK9V>

⁶ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18¹, პუნქტი 7,

იხ. <https://matsne.gov.ge/document/view/33550?publication=95>

⁷ interpressnews.ge, ირაკლი კობახიძე ქონებრივ დეკლარაციებზე - მე მგონია, რომ სასწრაფოდ უნდა გამოქვეყნდეს, მეც შემიძლია დავინტერესდე, იხ. <https://bit.ly/3LobYUB>

⁸ მშვიდობის საზოგადოების წერილი, N PS/2025/8

ანტიკორუფციულმა ბიურომ ორგანიზაციის პასუხად 2025 წლის 28 მაისს ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნა წერილი, რომელშიც მხოლოდ ბიუროს ვებგვერდის ლინკია მითითებული, კონკრეტული პასუხის გარეშე.

ამასთან, ანტიკორუფციულმა ბიურომ 2024 წელს დააანონსა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შესწავლა, რაშიც მოიაზრებოდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და კორუფციის მაღალი რისკის ჯგუფები. შესასწავლ პირთა შორის იყო ოთხი მოსამართლე, თუმცა 2024 წლის აპრილში მათ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს და სთხოვეს, შეეჩერებინა მათი ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან. სასამართლომ ეს მიმართვა დააკმაყოფილა. მსგავსი შემთხვევები, განსაკუთრებით სასამართლო სისტემაში, აჩენს შესაძლო კორუფციული რისკების არსებობის დასაბუთებულ ეჭვს და ამასთან, ამცირებს საზოგადოების ნდობას ზოგადად სასამართლო სისტემის მიმართ. მონიტორინგის შემდეგ, ბიურომ დეკლარაციების მონიტორინგის სრული შედეგები არ გამოაქვეყნა.

დეკლარაციების გასაჯაროების შემდეგ, გარე აქტორების მხრიდან განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა არაერთი საეჭვო კორუფციული საკითხი. განსაკუთრებით ყურადსაღები იყო მოქმედი თანამდებობის პირების ფინანსური მდგომარეობა და შექნილი ძვირადღირებული ქონება, რასთან დაკავშირებითაც რაჟდენ კუპრაშვილის უწყებას კითხვები არ გასჩენია.⁹

მამხილებელთა დაცვა

ძლიერი მამხილებელთა ინსტიტუტი კორუფციასთან ბრძოლისა და საჯარო სექტორის გამჭვირვალობის უზრუნველმყოფელი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. როდესაც სახელმწიფო მამხილებლების დასაცავად უსაფრთხო, დამოუკიდებელ და ეფექტიან მექანიზმებს ქმნის, ამით ამცირებს სისტემური დარღვევების დაფარვის რისკს და ხელს უწყობს პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას. ამგვარი სისტემა ამყარებს მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადად აჩვენებს, რომ ძლიერი მამხილებელთა ინსტიტუტი ხშირად ხდება გარდამტეხი ფაქტორი კორუფციული სისტემების შეცვლასა და მართლწესრიგის განმტკიცებაში.¹⁰

სხვა ფუნქციებთან ერთად, მამხილებელთა საკითხი ანტიკორუფციული ბიუროს მანდატში მოექცა. მანამდე აღნიშნული ფუნქცია საჯარო სამსახურის ბიუროს ჰქონდა. 2015 წლიდან კი არსებობს ელექტრონული პლატფორმა, რომელზეც ანონიმურად იყო შესაძლებელი მხილება. ეს ფუნქცია ანტიკორუფციულ ბიუროს პრაქტიკულად უცვლელად გადაეცა. ამასთან, ელექტრონული პლატფორმა ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე განთავსდა.¹¹

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფუნქცია ანტიკორუფციული ბიუროს მანდატში გადავიდა და ერთი შეხედვით, პროგრესული ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო, გამოწვევები კვლავ არსებობს როგორც საკანონმდებლო მოწესრიგების, ისე აღსრულების კუთხით.¹²

⁹ მაგალითისთვის იხ. <https://bm.ge/news/ra-gonebas-floben-levan-davitashvili-da-mariam-qvrivishvili> ; <https://www.radiotavisupleba.ge/a/33183524.html>

¹⁰ ICC 2022 Guidelines on Whistleblowing, იხ. <https://bit.ly/4nFwBZS>

¹¹ იხ. <https://mkhileba.acb.gov.ge/>

¹² idfi.ge , საქართველოში მამხილებლის ინსტიტუტის ეფექტურ იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, 2022 წელი, იხ. <https://idfi.ge/public/upload/Analysis/sruli%20statia%203.pdf>

3. ანტიკორუფციული ბიურო – სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენებული ინსტრუმენტი

ანტიკორუფციული ბიუროს სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენებამ თავი იჩინა მას შემდეგ, რაც საქართველოში ამოქმედდა ე.წ. FARA-ს თარგმანი. ასევე, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით, უცხოური გრანტის გასაცემად აუცილებელი გახდა საქართველოს მთავრობის წინასწარი ნებართვა. სწორედ ანტიკორუფციული ბიუროს ვალდებულებად იქცა როგორც ე.წ. FARA-ს რეესტრის წარმოება და დარეგისტრირებული ორგანიზაციების („აგენტების“) საქმიანობის ზედამხედველობა, ასევე დაურეგისტრირებული კანონდამრღვევების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში, მათ საქმეებზე პროკურატურისთვის მიმართვა. ანტიკორუფციული ბიურო უწევს მონიტორინგს „გრანტების შესახებ“ კანონის მოთხოვნების დაცვით გაცემული უცხოური გრანტების შესრულებასაც.

3.1 FARA-ს მიმოხილვა

2025 წელს „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი სახელწოდებით, „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“. ეს კანონი იმეორებს 2024 წელს პარლამენტის მიერ მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის არადემოკრატიულ მიზნებს და აფართოებს ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების გამოყენების მასშტაბს.

ე.წ. FARA-ს მიხედვით,¹³ როგორც იურიდიულ პირებს, ასევე ფიზიკურ პირებს, რომლებიც იღებენ ფინანსურ და სხვა სახის დაფინანსებას უცხოეთიდან და ახორციელებენ საქმიანობას „უცხოელი პრინციპალის“ ინტერესების გათვალისწინებით და ამავდროულად მონაწილეობენ „პოლიტიკურ საქმიანობაში“, წარმოეშობათ უცხოეთის აგენტების რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება. რეესტრში რეგისტრაციის გარდა, კანონი მოიცავს უცხოელ პრინციპალთან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის, ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციების, საჯარო განცხადებებისა და წერილობითი კორესპონდენციების ასლების წარდგენას ანტიკორუფციული ბიუროსთვის. კანონის მთავარი მოთხოვნების დარღვევისთვის დაწესდა სისხლის სამართლის სასჯელი როგორც ჯარიმის, ასევე პატიმრობის სახით.

თავისუფალი მედიისა და ძლიერი სამოქალაქო სექტორის არსებობა დემოკრატიულ საზოგადოებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ისინი ქმნიან პლურალისტურ დისკუსიას, აფასებენ სახელმწიფო პოლიტიკას და აკონტროლებენ ძალაუფლების ბალანსს. ამ კანონის რეპრესიული ბუნებიდან გამომდინარე, კრიტიკული აზრის არსებობა ქვეყანაში პრაქტიკულად იზღუდება.

¹³ matsne.gov.ge, საქართველოს კანონი უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/6461578?publication=0>

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ინიცირების დროს აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო ამერიკული FARA-ს ანალოგი, თუმცა, განსხვავება, პირველ რიგში, ისტორიულ კონტექსტშია. ამერიკაში კანონი 1938 წელს ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ მიიღეს.¹⁴ ამის საპირისპიროდ, „ქართული ოცნება“ აგენტებად აცხადებს ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი დღის წესრიგით და წლების განმავლობაში ემსახურებიან ქვეყნის ინტერესებს. აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა FARA-ს (უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონის) ფარგლებში სისხლისსამართლებრივი ღონისძიება მხოლოდ იმ შემთხვევებში გააქტიურა, როდესაც საქმე ეხებოდა მძიმე სამართალდარღვევებს, როგორებიცაა ფულადი სახსრების გათეთრება, თაღლითობა, საერთაშორისო სანქციების დარღვევა ან მათი თავიდან აცილება, ტერორიზმთან კავშირი. ამერიკაში FARA არ გამოყენებულა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წინააღმდეგ. შესაბამისად, დღეს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მკაცრად გაწერილი წესების მიხედვით, FARA-ს რეესტრში რეგისტრირებულია ისეთი მედიები, როგორებიცაა „სპუტნიკი“, „რაშა თუდეი“ და არა, მაგალითად, BBC, Deutsche Welle და სხვები.¹⁵

შესაბამისად, სამოქალაქო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია საფუძვლიანად აკრიტიკებენ კანონს იმ მიზეზით, რომ კრიტიკულად განწყობილი მედიის თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესაზღუდად,¹⁶ ხელისუფლებას მარტივად შეუძლია ახალი რეგულაციების რეპრესიულ მექანიზმად გამოყენება. აღსანიშნავია, რომ კანონში „უცხოელი პრინციპალი“, „უცხოური გავლენის აგენტი“ და „პოლიტიკური საქმიანობა“ საკმაოდ ბუნდოვნადაა განმარტებული, რის გამოც შესაძლებელი ხდება გაუმჭირვალე ან არაკეთილსინდისიერი ინტერპრეტაციები.¹⁷

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმაც გამოთქვეს შეშფოთება, რომ ასეთი რეპრესიული კანონის მიღებით, საქართველო შორდებოდა ადამიანის უფლებების ევროპული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.¹⁸ ამასთან, 15 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ დასკვნაში პირდაპირ თქვა, რომ რეპრესიული კანონები, მათ შორის, „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, უნდა გაუქმდეს.¹⁹

¹⁴ justice.gov, იხ. <https://www.justice.gov/nsd-fara>

¹⁵ dev.forbes.ge, იხ. <https://dev.forbes.ge/fara-thu-pharsi-rusuli-kanoni-amerikuli-shephuthvith/>

¹⁶ hrw.org Georgia: Drop Repressive 'Foreign Agents' Bill.

ხელმისაწვდომია: <https://www.hrw.org/news/2025/03/26/georgia-drop-repressive-foreign-agents-bill?>

¹⁷ civil.ge, დაწვრილებით | უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი.

ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/667170>

¹⁸ fidh.org Georgia: Adoption of the new Foreign Agents Registration Act.

ხელმისაწვდომია: <https://www.fidh.org/en/region/europe-central-asia/georgia/georgia-adoption-of-the-new-foreign-agents-registration-act>

¹⁹ coe.int, იხ. [https://www.coe.int/en/web/venice-commission/-/cdl-ad-2025-034-](https://www.coe.int/en/web/venice-commission/-/cdl-ad-2025-034-e?fbclid=IwZxh0bgNhZW0CMTAAynJpZBExS1VBV0pFskZodHRwU2JRTwEeMgoitJ5j6N7apYtQ7bH6FAhAw)

[e?fbclid=IwZxh0bgNhZW0CMTAAynJpZBExS1VBV0pFskZodHRwU2JRTwEeMgoitJ5j6N7apYtQ7bH6FAhAw](https://www.coe.int/en/web/venice-commission/-/cdl-ad-2025-034-e?fbclid=IwZxh0bgNhZW0CMTAAynJpZBExS1VBV0pFskZodHRwU2JRTwEeMgoitJ5j6N7apYtQ7bH6FAhAw)
[WcIBTZOupubStXa12DMWcLogFQOxOn5M0_aem_j2cYU-GTb8bM-QSilmPuAg](https://www.coe.int/en/web/venice-commission/-/cdl-ad-2025-034-e?fbclid=IwZxh0bgNhZW0CMTAAynJpZBExS1VBV0pFskZodHRwU2JRTwEeMgoitJ5j6N7apYtQ7bH6FAhAw)

3.1.1 FARA-ს აღსრულება

ანტიკორუფციული ბიურო შეუდგა ახალი კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და დაიწყო რამდენიმე სამოქალაქო და მედიაორგანიზაციის მონიტორინგის პროცესი. 2025 წლის 11 აგვისტოს ექვსმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ანტიკორუფციული ბიუროდან მიიღო წერილი, რომელშიც ედავებიან „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ (FARA) დარღვევას.²⁰ ეს ორგანიზაციები არიან: „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“ (ყოფილი ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“), „საფარი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „მედიის განვითარების ფონდი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „სოციალური სამართლიანობის ცენტრი.“²¹

მედიამ გაავრცელა წერილი, რომელიც ანტიკორუფციულმა ბიურომ ამ ორგანიზაციებს გაუგზავნა.²² წერილით ბიურო ორგანიზაციებისგან ითხოვს განმარტებას, რატომ არ დარეგისტრირდნენ „უცხოური აგენტების რეესტრში“ და აფრთხილებს იმ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც კანონის ამ მოთხოვნის დარღვევას ახლავს თან. ამავე წერილში, ორგანიზაციებს აცნობებს, რომ ბიუროს ხელთარსებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ მათი საქმიანობის დაფინანსების წყაროებიდან ნაწილი უცხოეთიდან მიღებული გრანტებია. წერილში აღნიშნულია, რომ, FARA-ს მოთხოვნათა მიხედვით, მათი საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს „პოლიტიკურ საქმიანობად“, რაც ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება იყვნენ „უცხოური აგენტების“ რეესტრში დასარეგისტრირებელი სუბიექტები.²³

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ანტიკორუფციული ბიუროს წერილს ერთმნიშვნელოვანი და საერთო შინაარსის პასუხი გასცეს. მათ განაცხადეს, რომ არ დარეგისტრირდებიან უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებლებად, ვინაიდან მათი საქმიანობა დამოუკიდებელია და ქართული საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას ემსახურება.

ორგანიზაციები ასევე ასაბუთებდნენ, რომ ბიუროს მოთხოვნები კანონით არ არის გამყარებული (მაგალითად, ინსპექტირების უფლებამოსილება) და რომ ამ

²⁰ publika.ge, NGO-ები: 6-მა ორგანიზაციამ მივიღეთ ანტიკორუფციულის წერილი - გვედავებიან ე.წ. „FARA“-ს დარღვევას. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/ngo-ebi-6-ma-organizaci-am-mivighet-antikoruftsiul-is-werili-gvedavebian-e-w-fara-s-darghvevas/>

²¹ civil.ge, სამოქალაქო საზოგადოების ექვსი ორგანიზაცია აცხადებს, რომ მათ ქართული FARA-ს ფარგლებში ამოწმებენ. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/697282?>

²² netgazeti.ge, ივანიშვილ-კუპრაშვილის ბიურო სამოქალაქო საზოგადოებაზე თავდასხმას აგრძელებს — არასამთავრობოები. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/782766/>

²³ socialjustice.org.ge, “ქართული ოცნება” აგრძელებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დევნას - სოციალური სამართლიანობის ცენტრი ანტიკორუფციულ ბიუროში გაგზავნილი წერილობითი განმარტების ტექსტს აქვეყნებს.

ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsneba-agrdzelebs-samokalako-sazogadoebis-organizatsiebis-devnas-sotsialuri-samartlianobis-tsentr-antikoruftsiul-biuroshi-gagzavnili-tserilobiti-ganmartebis-teksts-akvegnebs>

სახის „მოკვლევის“ წერილს და მოთხოვნებს სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, ვინაიდან „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ რომელიმე ჩანაწერი ბიუროს ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.²⁴

ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ უცხოეთიდან მიღებული დაფინანსება ავტომატურად არ ნიშნავს ინტერესთა კონტროლის ან დირექტივის არსებობას, რაც აუცილებელი კომპონენტია ე.წ. FARA-ს შესაბამისად რეგისტრაციისთვის. ისინი ბიუროს სთხოვენ კონკრეტულ დასაბუთებას იმისა, რომელი აქტივობა მიიჩნია პოლიტიკურ აქტივობად და მის ხელთ არსებული ინფორმაციით, რომელი დონორი რა სახის კონტროლს ან დირექტივას ახორციელებდა, რომელთა საფუძველზეც გაუჩნდათ ეჭვი, რომ კანონის მოთხოვნები²⁵ დარღვეულია.

ორგანიზაციების პოზიციით, მათი საქმიანობა დამოუკიდებელია, საკუთარი წესდებით და ორგანიზაციის ღირებულებებით არის ნაკარნახევი; ჰყავთ არაერთი დონორი და მათი საგრანტო პროექტები არ ექვემდებარება დონორისგან შინაარსობრივ დირექტივებს ან კონკრეტული მითითებების შესრულებას; არ არიან ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში და არ მოქმედებენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მითითებით და მხარდასაჭერად. ეს პოზიცია არის ლოგიკური და სამართლებრივად დასაბუთებული, ვინაიდან ამ ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებზე, მიზნებსა და საგრანტო პროექტების შინაარსზე ინფორმაცია საჯაროა და ცნობილია სახელმწიფო ორგანოებისთვისაც. ანტიკორუფციული ბიუროს „მოკვლევის“ წერილში კი კონკრეტული კანონდარღვევის ფაქტი დასახელებული არ არის - მითითება მხოლოდ ზოგად გარემოებებზეა: უცხოური დაფინანსებით საგრანტო პროექტის განხორციელება, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული საჯარო განცხადებები. თუმცა არც ე.წ. FARA-ს ჩანაწერების თანახმად და არც საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა ან საკუთარი შეხედულებების, ღირებულებების მიხედვით, უცხოური დაფინანსებით მოქმედება, კანონდარღვევას არ წარმოადგენს. მოკვლევის დაწყებიდან რამდენიმე თვეა გასული, მაგრამ ანტიკორუფციულ ბიუროს ჯერაც არ წარმოუდგენია კონკრეტული ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებითაც დაადასტურებდა ე.წ. FARA-ს მოთხოვნების დარღვევას ორგანიზაციების მიერ და დაამტკიცებდა „უცხოური გავლენის აგენტების რეესტრში“ მათი დარეგისტრირების აუცილებლობას.

²⁴ mdfgeorgia.ge, “მედიის განვითარების ფონდის” სამართლებრივი პასუხი რაჟდენ კუპრაშვილს - რატომ არის ანტიკორუფციული ბიუროს ქმედებები უკანონო.

ხელმისაწვდომია: https://www.mdfgeorgia.ge/geo/view_statements/872

²⁵ socialjustice.org.ge, “ქართული ოცნება” აგრძელებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დევნას - სოციალური სამართლიანობის ცენტრი ანტიკორუფციულ ბიუროში გაგზავნილი წერილობითი განმარტების ტექსტს აქვეყნებს.

ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsneba-agrdzelebs-samokalako-sazogadoebis-organizatsiebis-devnas-sotsialuri-samartlianobis-tsentri-antikoruftsuiul-biuroshi-gagzavnili-tserilobiti-ganmartebis-teksts-akveqnebs>

3.2 საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ეტაპი

2025 წლის ივნისში, ანტიკორუფციულმა ბიურომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. რაჟდენ კუპრაშვილმა ორგანიზაციებს ინფორმაციის გაცემა სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, სამი კანონით დაავალდებულა. კერძოდ, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ და „გრანტების შესახებ“ კანონების საფუძველზე უწყებამ ორგანიზაციებს არაპროპორციულად ბევრი ინფორმაცია მოსთხოვა. სასამართლო გადაწყვეტილებაში არ უთითებს, თუმცა ორგანიზაციებმა დაადასტურეს, რომ ანტიკორუფციულმა ბიურომ, სასამართლოში მიმართვის დროს, ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველად, ერთ-ერთ სამართლებრივ აქტად „უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონი მიუთითა.²⁶

სასამართლოს მიერ გაცემული შესაბამისი განჩინებების საფუძველზე, ორგანიზაციებს დაეკისრათ, საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინონ მათ ხელთ არსებული დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდის საქმიანობას.

კერძოდ, მოთხოვნა შეეხება შემდეგ მასალებს:

- ორგანიზაციების მიერ ამ პერიოდის განმავლობაში გაფორმებული ან მოქმედი საგრანტო ხელშეკრულებები, მათთან დაკავშირებული ფინანსური და იურიდიული დოკუმენტაცია, მათ შორის დეტალური ბიუჯეტური მონაცემები და პროექტების ფინანსური გეგმარება;
- აღნიშნული ხელშეკრულებების ან შეთანხმებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების აღწერილობა, შესრულების მიზნები, ლოკაცია, პერიოდი, განხორციელებაში ჩართული პირების (მათ შორის, ბენეფიციართა) იდენტიფიცირებადი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), მიღწეული შედეგები და ღონისძიებების ამსახველი ფოტოსურათები ან ვიდეომასალა;
- საგრანტო თუ სხვა ტიპის პროექტების შესრულების ნარატიული ანგარიშები, ასევე ამავე პერიოდის განმავლობაში წარმოებული კორესპონდენცია და კომუნიკაციის არქივი იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის ურთიერთობა დოკუმენტირებულია წერილობითი მიმოწერის სახით;
- ინფორმაცია იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც თანამშრომლობდნენ აღნიშნულ ორგანიზაციებთან ან მათთვის უზრუნველყოფდნენ შესაბამის მომსახურებას.

²⁶ socialjustice.org, “ქართულმა ოცნებამ” სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამანგრეველი კანონების გამოყენება უკვე დაიწყო, 19.06.2025, იხ. <https://socialjustice.org.ge/ka/products/kartulma-otsnebam-samokalako-sazogadoebistvis-damangreveli-kanonebis-gamoqeneba-ukve-daitsqo>

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ წარდგენილ შუამდგომლობებში, როგორც წესი, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის კანონიერებისა და მიზნობრიობის დასაბუთებად მითითებულია ბიუროს ზოგადი უფლებამოსილება, რომლის საფუძველზეც აქვს უფლება, საჭიროების შემთხვევაში როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისგან მოითხოვოს ინფორმაცია, მათ შორის — განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემებიც, მათ უფლებამოსილებაში გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად.

შუამდგომლობაში განსაკუთრებულად ხაზგასმულია, რომ მოთხოვნილი მასალები გამოიყენება შემდეგი ღონისძიებების გატარების მიზნით:

- ა) პოლიტიკური გაერთიანებების, საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო მიზნების მქონე პირების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი;
- ბ) გრანტების მიღებისა და გაცემის პროცესების, ასევე ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა საკითხების ზედამხედველობა;
- გ) „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მექანიზმების განხორციელება.

თუმცა ამავე შუამდგომლობაში არ არის დაზუსტებული, რა არის კონკრეტულად 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდის შერჩევის საფუძველი, ასევე არ არის განმარტებული, რა განაპირობებს თითოეული კონკრეტული ინფორმაციის, განსაკუთრებით კი ბენეფიციარების პირადი და სენსიტიური მონაცემების გამოთხოვნის საჭიროებასა და პროპორციულობას. ბიუროს არ მოჰყავს დამატებითი არგუმენტაცია, რომელიც დაასაბუთებდა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვნა ემსახურება კონკრეტულ, მკაფიო და ლეგიტიმურ მიზნებს და არ სცდება მის უფლებამოსილებათა ფარგლებს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან ინფორმაციის გამოთხოვის დასაბუთებლად, სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში სამ ძირითად სამართლებრივ საფუძველს ასახელებს. თუმცა თითოეული მათგანი — შინაარსობრივად და სამართლებრივად — არარელევანტური, დაუსაბუთებელი და არსებითად უკანონოა.

1. ინფორმაციის გამოთხოვა საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით

სასამართლო პირველ სამართლებრივ საფუძველად მიუთითებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 201³-ე მუხლს, რომელიც ანტიკორუფციულ ბიუროს აძლევს უფლებას, მოითხოვოს ინფორმაცია, სხვადასხვა პირისგან საჯარო სექტორში კორუფციული პრაქტიკების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით.

თუმცა კონკრეტულ საქმეში სასამართლო არ განიხილავს და არ ასაბუთებს, უკავშირდება თუ არა მონაცემების გამოთხოვა საჯარო სამსახურში კორუფციის

სავარაუდო შემთხვევას და რა სამართლებრივი ან ფაქტობრივი კავშირი არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში დაცულ ინფორმაციასა და საჯარო სექტორის მონიტორინგს შორის. შესაბამისად, ამ მუხლის გამოყენება ამ კონტექსტში სამართლებრივად დაუსაბუთებელი და არაპროპორციულია.

2. საარჩევნო სუბიექტების ფინანსური მონიტორინგი

მეორე საფუძვლად სასამართლო ასახელებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლს, რომელიც არეგულირებს საარჩევნო სუბიექტებისა და გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს.

ამ შემთხვევაში სასამართლო არ განმარტავს, რა სამართლებრივი ან ფაქტობრივი კავშირი აქვთ გაცხადებულ საარჩევნო მიზნებთან იმ სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომელთაგანაც ინფორმაციას ითხოვენ. არ არსებობს მინიშნება იმაზე, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ამ ნორმის სამოქმედო არეში არიან ან შეესაბამებიან მის სამიზნე კატეგორიას.

სასამართლო ასევე არ აფასებს, რამდენად პროპორციული და მიზნობრივად გამართლებულია ბენეფიციარების პირადი მონაცემების გამოთხოვა სწორედ ამ ნორმის საფუძველზე. გარდა ამისა, შუამდგომლობით მოთხოვნილი პერიოდი (2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისამდე) სრულად არ ემთხვევა საარჩევნო ციკლს, რაც კიდევ უფრო ამცირებს მოთხოვნის სამართლებრივ ლეგიტიმაციას.

3. თანხმობის გარეშე მიღებული გრანტების მონიტორინგი

მესამე სამართლებრივი საფუძველი უკავშირდება „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6¹ მუხლს, რომლის მიხედვითაც, ანტიკორუფციულ ბიუროს აქვს გრანტების გაცემისა და მიღების პროცესის მონიტორინგის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ გრანტი გაიცემა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე.

თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაცია ძალაში შევიდა მხოლოდ 2025 წლის 17 აპრილს. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ინფორმაციის გამოთხოვის გაფართოება 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 17 აპრილამდე პერიოდზე, როცა აღნიშნული ნორმა არ მოქმედებდა, არის უკანმიმდევრული, სამართლებრივ ძალას მოკლებულ გადაწყვეტილება და სრულიად არარელევანტურია კანონით დადგენილი ვადების გათვალისწინებით.

3.3 გრანტების შესახებ კანონი

2025 წლის აპრილიდან „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ანტიკორუფციულ ბიუროს მიენიჭა ფართო უფლებამოსილება მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით. ცვლილებების თანახმად, ბიუროს უფლება აქვს, განხორციელოს უცხოური გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგი, მათ შორის, მოსთხოვოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა თუ საჯარო დაწესებულებებს სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

კერძოდ, კანონის მე-6¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 პუნქტის საფუძველზე, ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია:

- პირისგან გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი არღვევს კანონის მე-5¹ მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;
- ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მიიღოს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები და სხვა სახის სენსიტიური ინფორმაცია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის სუბიექტებისგან.

თუმცა ამ უფლებამოსილების განხორციელებისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი სტანდარტებისა და პრინციპების დაცვა, რომლებიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპია „დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი“, რაც გულისხმობს იმას, რომ ბიუროს მიერ ინფორმაციის მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ობიექტურ მონაცემებს, რომლებიც იძლევა გონივრულ საფუძველს ვიფიქროთ, რომ სახეზეა კანონდარღვევა ან ვალდებულების შეუსრულებლობა. მხოლოდ ამგვარად შეიძლება იყოს გამართლებული მონაცემების გამოთხოვნა და მონიტორინგი.

მიუხედავად ამისა, ანტიკორუფციული ბიურო ისედაც რეპრესიულ კანონს პრაქტიკაში ნორმათა დანაწესების საპირისპიროდ იყენებს. ქვეყანაში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ბიურო აქტიურად მიმართავს²⁷ სექტემბრიდან და სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციას ითხოვს იმგვარად, რომ ფორმალურადაც არ არის დაცული საკანონმდებლო მოთხოვნები.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ანტიკორუფციული ბიუროს მოთხოვნები არ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს. მაგალითად, წერილში არ არის მითითებული, თუ „გრანტების შესახებ“ კანონის რომელი მუხლის დარღვევაზეა ეჭვი ან რით არის გამყარებული ის გარემოებები, როლებიც

²⁷ radiotavisupleba.ge, ანტიკორუფციული ბიურო უკვე 30 ორგანიზაციას სთხოვს ინფორმაციას - NGO-ები რეპრესიებად მიიჩნევენ ბიუროს მოთხოვნებს, 22.09.2025, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33536858.html>

„დასაბუთებული ვარაუდის“ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი გაურკვევლობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ბიუროს მხრიდან ადგილი აქვს ფართომასშტაბიანი ინფორმაციის მოპოვების მცდელობას, კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ყველა ორგანიზაციისთვის გაგზავნილი წერილი კი ერთმანეთის იდენტურია. ამასთან, ორგანიზაციების პასუხის შემდეგ (რომ მათ არ აუღიათ/არ განუხორციელებიათ ცვლილება ახალ გრანტი/საგრანტო ხელშეკრულებაში), ბიურო მიმართავს სასამართლოს, ხოლო სასამართლო შაბლონურად ბიუროს ყველა მიმართავს აკმაყოფილებს. თავად სასამართლოს ბრძანებაში არ არის სამართლებრივი დასაბუთება, რატომ უნდა მიიღოს ბიურომ ამ ტიპის ინფორმაცია, რომელიც, ერთი მხრივ, მისი საქმიანობის მიმართულებაში საერთოდ არ ჯდება და მეორე მხრივ, არ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი - „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტი.

ორგანიზაციის ინფორმაციით, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ანტიკორუფციულ ბიუროს კანონმდებლობის შესაბამისად უპასუხეს, რომ „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, მათ არ მიუღიათ ახალი გრანტი ან/და არ განუხორციელებიათ ცვლილებები მიმდინარე საგრანტო ხელშეკრულებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამ ეტაპზე, ორგანიზაციებმა, რომლებმაც სასამართლოს ბრძანება მიიღეს, ის სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ანტიკორუფციული ბიუროს წერილსა და სასამართლოს ბრძანებაში მოთხოვნილია ინფორმაცია 2025 წლის 16 აპრილიდან, როცა ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული რეპრესიული ცვლილებები. კერძოდ, ცვლილებები „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე 16 აპრილს გამოქვეყნდა, თუმცა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე. შესაბამისად, რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2025 წლის 17 აპრილს. სასამართლომ კი ამ გარემოებაზე საერთოდ არ იმსჯელა.

სამოქალაქო ორგანიზაციებმა ასევე უარი თქვეს პერსონალური ინფორმაციის (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის) მიწოდებაზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-6 მუხლების მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის „მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება”. ამასთან, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებლად კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით უნდა მოხდეს, მისი დამუშავება გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომის დემოკრატიულ საზოგადოებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონის მოთხოვნათა დარღვევას.

მონიტორინგის და ზედამხედველობის მექანიზმები მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი და გამართლებული, როდესაც ეყრდნობა სამართლებრივ საფუძველს, გამჭვირვალობასა და მოქალაქეთა უფლებების პატივისცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ინსტრუმენტები, რომლებიც შექმნილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, გამოიყენება სამოქალაქო სექტორის ან კრიტიკული აზრის მიმართ ზეწოლის ბერკეტად.

3.4 ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ბერკეტები

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ანტიკორუფციული ბიუროს კიდევ ერთი ფუნქციაა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი და ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა სათანადო ღონისძიებები.

ეს ფუნქცია მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს პოლიტიკურ პროცესებში გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, რაც ხელს უშლის კორუფციულ პრაქტიკებსა და უკანონო ფინანსურ გავლენას პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების საქმიანობაზე. ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან ფინანსური მონიტორინგი ამცირებს ფარული დაფინანსების რისკს, ზრდის საზოგადოებრივ ნდობას და ხელს უწყობს სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებს.

ერთი შეხედვით ეს მნიშვნელოვანი მანდატი, რომელიც რეალურად ხელს უნდა უწყობდეს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ანტიკორუფციულმა ბიურომ კვლავ უფლებადამცველი ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად გამოიყენა. 2024 წლის 26 ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდში, რაჟდენ კუპრაშვილმა, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „აირჩიე ევროპა“ საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად გამოაცხადა და მათზე გაავრცელა „მოქალაქეთა პოლიტი-

იკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული შეზღუდვები”.²⁸

კანონის მიხედვით, პოლიტიკური პარტია არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში.

რაჟდენ კუპრაშვილის დასაბუთების მიხედვით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი ამბობს²⁹, რომ პოლიტიკურ გაერთიანებებს უნდა ჰქონდეთ „გაცხადებული საარჩევნო მიზანი“, რაც „ის ფაქტობრივი გარემოებაა, როდესაც იკვეთება კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. განცხადება გაკეთებული უნდა იყოს საჯაროდ და მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ“. მისი თქმით, „აქტიურად არიან ჩართულნი წინასაარჩევნო კამპანიებში, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას, ასევე კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერისგან თავის შეკავების მოწოდებას“ და ამასთან, ისინი აგროვებენ სახსრებს, ხვდებიან მოსახლეობას, სავარაუდოდ, პოლიტიკური მიზნით და ქმნიან სოციალურ მედიაჯგუფებს, „რომლებიც ემსახურებიან საზოგადოების კონკრეტული პოლიტიკური განწყობების ფორმირებას“. კუპრაშვილის თქმით, ეს ორგანიზაციები კონცერტებს მართავენ რეგიონებში და აწარმოებენ და ავრცელებენ პოლიტიკურ ვიდეოებს, რაც დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან, რომელიც შეადგენს 100 000 ლარზე მეტს”.³⁰ „აღნიშნული რესურსები ხმარდება მოსახლეობაში კონკრეტული პოლიტიკური განწყობების ჩამოყალიბებას და წინასაარჩევნოდ მათი აზრის ფორმირებას”.³¹

²⁸ იხ. <https://youtu.be/CR5lijv-0sAY?si=AQN5D1xNgvD7nGrL>

²⁹ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 71

³⁰ acb.gov.ge, იხ. <https://bit.ly/43EpHgr>

³¹ acb.gov.ge, იხ. <https://bit.ly/4oYDF4W>

4. საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ბიუჯეტის ზრდა და გამომწვევი მიზეზები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2025 წელს ანტიკორუფციული ბიუროს ბიუჯეტი შეადგენს 13 200 000 ლარს,³² რაც გასული წლის ბიუჯეტს 4 700 000 ლარით აღემატება. საინტერესოა, რამ განაპირობა ბიუჯეტის ამ მასშტაბით ზრდა. 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით კი, ანტიკორუფციული ბიუროს ბიუჯეტი 14 500 000 ლარითაა განსაზღვრული.³³

საგულისხმოა, რომ შექმნის შემდეგ ბიუროს დაემატა არაერთი ისეთი ფუნქცია, რომელთა შედეგადაც საბოლოოდ იქცა „ქართული ოცნების“ ინტერესების გამტარებელ ინსტრუმენტად. სწორედ ამ ფუნქციებს აღასრულებს უწყება აქტიურ რეჟიმში.

2024 წლის ოქტომბრის შემდეგ (საპარლამენტო არჩევნების მასშტაბური გაყალბების შემდეგ), ანტიკორუფციული ბიუროს მანდატის ზრდაზე საუბარი განსაკუთრებით გააქტიურდა. ერთპარტიულმა პარლამენტმა 2025 წლის აპრილში რამდენიმე წამში, ყოველგვარი განხილვის გარეშე მიღებული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“, ანუ ამერიკული FARA-ს აღსრულება სწორედ ანტიკორუფციული ბიუროს მანდატში მოაქცია.³⁴ ამასთან, ამავე თვეს ერთპარტიული პარლამენტის მიერ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი რეკრესიული ცვლილებებით, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაორგანიზაციებს გრანტის მისაღებად მთავრობის ნებართვის აღება მოეთხოვებათ, რომლის მონიტორინგი სწორედ ანტიკორუფციულ ბიუროს დაევალა.³⁵ ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებო „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება და ის ზოგადი ჩანაწერია, რომლის მიხედვითაც, ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება.³⁶ ეს, რა თქმა უნდა, ბიუროს მანდატის ზრდის გამარტივებული საშუალებაა და ამასთან, შეიცავს ბუნდოვან შინაარსს, რადგან მან შეიძლება კიდევ უფრო მარტივად შეითავსოს ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მის ძირითად მიზნებთან და ამოცანებთან შეუთავსებელია.

³² matsne.gov.ge, საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი, იხ. <https://matsne.gov.ge/document/view/6366063?publication=0>

³³ parliament.ge, იხ. <https://www.parliament.ge/legislation/31282>

³⁴ radiotavisupleba.ge, „ოცნებამ“ მესამე მოსმენით მიიღო FARA, შეცვალა მედიის კანონი, ამოიღო „გენდერი“ და დააბრუნა „სამშობლოს ღალატის“ მუხლი, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33366352.html>

³⁵ radiotavisupleba.ge, „ქართულმა ოცნებამ“ აკრძალა გრანტების გაცემა/მიღება მთავრობის ნებართვის გარეშე, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33387188.html>

³⁶ საქართველოს კანონი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2025 წლის 16 აპრილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6474447?publication=0>